

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სამდივნოს

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სამდივნოს (შემდგომში – სამდივნო) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს სამდივნოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. სამდივნო წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) რეგლამენტის, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. სამდივნო ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერის წინაშე.

მუხლი 2. სამდივნოს ფუნქციები

1. სამდივნო უზრუნველყოფს:

- ა) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომების და მუდმივმოქმედი კომისიების სხდომათა მომზადების და ჩატარების ორგანიზაციულ და ტექნიკურ უზრუნველყოფას;
- ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) განსახილველი თემატური მასალების მოწესრიგებას;
- გ) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომებისთვის დღის წესრიგის შემუშავებასა და მომზადებას;
- დ) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) წევრებისთვის მასალების ფიზიკური და ელექტრონული ფორმით გადაცემას;
- ე) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სხდომაზე მიღებული დადგენილებების პროექტების მომზადებასა და იურიდიულად გაფორმებას;
- ვ) საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურისთვის დღის წესრიგისა და დადგენილებების მიწოდება სტუ-ის ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
- ზ) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერის საქმიანი შეხვედრებისა და თათბირების ორგანიზებას;
- თ) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერის სახელზე შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციას და მათი შესრულების კონტროლს;
- ი) საკომუნიკაციო საკითხების კოორდინაციას;
- კ) ტექნიკურ მომსახურებას უწევს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერს;
- ლ) წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერის ცალკეული დავალებების შესრულებას.

მუხლი 3. სამდივნოს სტრუქტურა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სამდივნოს ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი.

2. სამდივნოს მოსამსახურეთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად.

3. სამდივნოს მოსამსახურეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერის წარდგინებით.

4. სამდივნოს უფროსი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) სპიკერის წინაშე.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და სამდივნოს ლიკვიდაციის შემთხვევაში.